საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1490

ქ. თბილისი

21/10/2021

მარნეულის მუნიციპალიტეტში, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს" 18,56 კმ სიგრძის 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის" მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე" სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 28-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, მარნეულის მუნიციპალიტეტში, სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს" 18,56 კმ სიგრძის 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის" მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის დასკვნა N47 (01.10.2021);
2. სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგო" ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N47 (01.10.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს";
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარნეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი